ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(*შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია"*-ს

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) წევრი: ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ივერია"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**206078965**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ისანი-სამგორი; ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი; 163 ბ/ბ
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი; 17 შინდისელი გმირის ქუჩა N20
საფოსტო ინდექსი	0163
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolaiveria.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skola.iveria@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599463509 592555575

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 24 0000558701, 22.05.2024
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	12 ივნისი 2024 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის საფუძველს ცენტრში შემოსული 2024 წლის 28 მარტს №364468 წერილით გამოგზავნილ კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევა და შემოწმება წარმოადგენდა. აღნიშნულ კორესპოდენციაში შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერია" (შემდგომში „სკოლა“) იუწყება 2013 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში მის მიერ ნაქირავებ ფართის ქირავნობის გადასახადთან დაკავშირებით მასსა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის წარმოშობილ დავაზე. მოკლედ, რომ ავღწეროთ, ასე მოხდა: 2013 წლის 18 ივნისს სკოლამ შპს „ანალიზხელსაწყოსგან“, (რომლის 100% წილის მმართველი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყო), აუქციონის წესით, 10 წლის ვადით (2023 წლის 18 ივნისამდე) იქირავა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, 2500 კვ.მ ფართი, მდებარე თბილისი, კახეთის გზატკეცილი N36. მოგვიანებით, შპს „ანალიზხელსაწყოს“ უძრავ/მოძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცა ტექნიკურ უნივერსიტეტს (საკუთრება ისევ სახელმწიფოსი იყო) რის გამოც, ქირავნობის ხელშეკრულებაში შეთანხმების საფუძველზე შევიდა ცვლილება (24.04.2015) და შპს „ანალიზხელსაწყო“ ჩანაცვლდა ტექნიკური უნივერსიტეტით. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნაქირავები ფართი აღმოჩნდა 2500 კვ.მ-ზე ნაკლები, რის გამოც ორჯერ განხორციელდა ნაქირავები ფართის ხელშეკრულების კორექტირება შეთანხმებებით (06.07.2015 და 29.12.2016) და შესაბამისად დაიკლო ქირავნობის გადასახადმაც. ამ ნაქირავებ ფართში სკოლამ გააკეთა კაპიტალური რემონტი, რათა დაეკმაყოფილებინა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნები. სკოლა იხდიდა ქირის გადასახადს, თუმცა რჩებოდა გადაუხდელი თვეებიც, რის გამოც დაუგროვდა გადასახდელი თანხა. სადაო გახდა გადასახდელი თანხის ოდენობა, რის შემდეგაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მიმართა სასამართლოს (პირველი სარჩელი), რომელმაც 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სკოლას განუსაზღვრა გადასახდელი თანხის გარკვეული ოდენობა (ტექნიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თანხის რაოდენობის ნაწილში). ამ პროცესის დროს სკოლამ აღიარა გადასახდელი თანხა და დაიწყო მისი გადახდა. ამ აღწერილ პროცესებს დაერთო პანდემიის პერიოდი, როცა სკოლა დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა და მოსწავლეთა საჯარო სკოლაში გადასვლის გამო შემოსავლებმა იკლეს და შესაბამისად სკოლაც ვერ იხდიდა შეთანხმებისამებრ. 2021 წლის აგვისტოში, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, რადგან კვლავ ვერ იღებდა შეთანხმებულ თანხას, სკოლას მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული ფართი (ვადაზე ადრე). მოთხოვნა სკოლამ დააკმაყოფილა და გადავიდა სხვა ფართში (სადაც ამჟამად იმყოფება). 2021 წლის 15 ოქტომბრის მთავრობის N507 დადგენილების გამოსვლის შემდეგ სკოლასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დავის საგანი კვლავ გახდა გადასახდელი ვალის ოდენობა. სკოლა ითხოვდა, რომ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის პერიოდში გადახდილი თანხა უნივერსიტეტს ჩაეთვალა სხვა გადაუხდელი პერიოდის გადასახადში, რაზეც ტექნიკური უნივერსიტეტი არ თანხმდებოდა. ვალის შემცირებას სკოლა ითხოვდა იმ მოტივითაც, რომ ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით და სხვა ფართში გადასვლით (სადაც ასევე მოუწია რემონტის გაკეთება) სკოლამ მიიღო გარკვეული ზარალი, რომელიც უნდა გამოქვითულიყო გადასახდელი ვალიდან. ამ ეტაპზე 2023 წლის 10 მაისის სარჩელის საფუძველზე, რომელიც ეხება 2019 წლის 20 დეკემბრიდან (პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან) 2021 წლის 28 აგვისტომდე (ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე) პერიოდს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილებით, დაყადაღებულია სკოლის საბანკო ანგარიშები ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ რის გამოც, სკოლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები მომენტალურად გადაირიცხება ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშებზე. პარალელურად მიმდინარეობს სასამართლო დავა ბოლო 2-3 წლიანი პერიოდის გადასახდელი თანხის ოდენობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ სიტუაციაში მყოფი სკოლა ითხოვს, ვიდრე დადგინდება გადასახდელი თანხის ოდენობა, მოეხსნას ყადაღა საბანკო ანგარიშებიდან, რათა შეეძლოს ნორმალური ფუნქციონირება, მათ შორის თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასების გაცემა, ამასთან მოხდეს ვალის განწილვადება და მზად არის ვალის გადახდაზე. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სკოლამ 2024 წლის18 მარტის 01/75 წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ დირექტორს, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
275	150

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულების წარმომადგენელი სკოლის საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს კონკურსის „აფხაზეთი საქართველოა“, მასპინძელი სკოლის სტატუსის ფლობას. კონკურსი იმართება „ახალგაზრდული ხმა“ არასამთავრობო ორგანიზაციათან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. კონკურსის ფარგლებში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. მიმდინარე წელს კონკურსში ჩართული იყო 24 საჯარო და 4 კერძო სკოლის წარმომადგენლები. კონკურსი იმართება აფხაზეთის თემაზე საუკეთესო თეატრალური, მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოების გამოსავლენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024-მდე) უზრუნველყოს:*** *1. სავალდებულო ნასამართლეობის ცნობების განთავსება ყველა თანამშრომლის პირად საქმეში (კონკრეტულად იხილე ინდიკატორის აღწერაში);* *2. მოწვეულ მასწავლებელისთვის საათობრივი დატვირთვა იყოს არაუმეტეს 9 საათისა.*

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა **რჩევა** საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის შინაგანაწესის ზოგიერთი დებულება, კერძოდ, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლების მარეგულირებელი მუხლი და დეტალურად ასახოს შრომითი დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*სკოლას მიეცა **რჩევა**:* *1. წერილობით დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.* *2. მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისას საკონკურსო კომისია დააკომპლექტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, კომისიაში ჩართოს მოწვეული სპეციალისტი და აღნიშნული რეგულაცია ასახოს შრომის კოდექსში მასწავლებლის შერჩევის მარეგულირებელ დებულებებში.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	*სკოლას მიეცა **რჩევა** eschool.emis.ge-ს ელექტრონულ გაზაში ასახოს სკოლაში ფაქტობრივად დასაქმებული ყველა პირის მონაცემები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) <u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

წინა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 29 და 30 ივნისს. გაცემული იყო ორი რეკომენდაცია:

1. ***მოეწყოს სახანძრო კიბე/სათადარიგო გასასვლელი.*** *აქვე განმარტებული იყო, რომ სკოლამ 26.07.2022 N 01/103 წერილით მიმართა შსს საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურს შენობის შესწავლისა და საჭირო რეკომენდაციების გაცემის თაობაზე. სამინისტრომ დაადასტურა წერილის მიღება (წერილის რეგისტრაციის N 2055194 26.07.2022).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული წერილის საფუძველზე შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სკოლაში განახორციელა ვიზიტი და სკოლას მისცა „სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N337. 28.07.2022 წ. მიწერილობაში სხვა რეკომენდაციებთან ერთად განსაზღვრული იყო რეკომენდაცია კიბის მოწყობის თაობაზე, რომლის შესრულების ბოლო ვადად მითითებულის 27.07.2023. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს უჩვენა მოწყობილი სახანძრო კიბე, მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული კიბე მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ამის შესახებ შსს საგანგებო სიტუაციებს ჯერ დასკვნა არ გაუკეთებიათ (სკოლას არ წარმოუდგენია).

2. ***დამონტაჟდეს დამატებითი კამერები საჭირო რაოდენობით.*** *აქვე განმარტებული იყო, რომ დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟების მიზნით სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს ვიპ სექიურითი ჯორჯიასთან (ს/კ 41276345, ხელშეკრულება N3 08.07.2022), თუმცა სკოლას არ წარმოდგენია შესყიდვის დოკუმენტაცია ან/და კამერების მონტაჟის ფოტომასალა.*

სკოლას დამონტაჟებული ჰქონდა კიბის უჯრედში კამერები.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (3.1.1.1, 3.1.1.2, 3.1.2.4, 3.7.1.2), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,შეესაბამება'', ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ინდიკატორების მოთხოვნების შესრულება. რაც შეეხება ინდიკატორს 3.1.2.3, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება'', ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც - ,,მეტწილად შეესაბამება'', რადგან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობით გეგმით განისაზღვრა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა (არაუმეტეს 12 თვისა) და აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტის აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციების მარეგულირებელი დებულება, რომლის მე-5 მუხლშიც აღწერილია სკოლის სტრუქტურა. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა მოიცავს ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს. ასევე, სკოლის სტრუქტურებში გაერთიანებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, მასწავლებლები, საქმისწარმოებისა და კადრების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექიმი და დამხმარე პერსონალი. დებულებაში აღწერილია ფუნქციები თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით.
სკოლამ წარმოადგინა ,,მენეჯმენტის'' როგორც ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულის შექმნისა და დაკომპლექტების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი დასახელებით ,,ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმა''.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია მენეჯმენტის წევრების (საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი) ფუნქციები.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა იერარქიის გრაფიკული სქემა, რომელშიც მოცემულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და ასახულია თანამდებობრივი პოზიციები. **სტრუქტურასა და სკოლის დებულებაში ასახული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობრივი პოზიციები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან.** კერძოდ, სტრუქტურულ სქემაში ასახული ტრანსპორტირების სამსახურის, საფეხურის ადმინისტრატორის, მონიტორინგისა და კვლევის ჯგუფის, საერთაშორისო განათლებისა სამსახურის, დირექტორის ადმინისტრაციული მოადგილის და ბუღალტრის ფუნქციები არ არის გაწერილი არც ერთ წარმოდგენილ დოკუმენტში და პირიქით, დებულებაში განსაზღვრული სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის და ხარისხის მართვის მენეჯერის პოზიციებს, ასევე პედაგოგიურ საბჭოს, როგორც სტრუქტურულ ერთეულს არ ითვალისწინებს გრაფიკული სტრუქტურა.

სკოლას არ აქვს განსაზღვრული ლოგოპედის ფუნქციები, რომელიც დასაქმებულია სკოლაში. ლოგოპედის პოზიციას არ მოიცავს სკოლის გრაფიკული სტრუქტურაც.

სკოლის დებულებაში პედაგოგიური საბჭოს ფუნქციაში გაწერილია რომ ამტკიცებს სკოლის დებულებას, თუმცა დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 07 სექტემბრის ბრძანებით.

გარდა ამისა, სკოლის მიერ 2023 წლის 07 სექტემბერს დამტკიცებულ დასაქმებულთა დამატებითი **საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელ დოკუმენტში მოცემული სკოლაში შესაძლო დასაკავებელი თანამდებობების ჩამონათვალი არ არის თანხვედრაში სკოლის დებულებასთან, ,,ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის'' დოკუმენტსა და სტრუქტურულ სქემასთან.**

დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადინა შესწორებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ შესაბამისობაში მოიყვანა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სკოლის სტრუქტურული სქემა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელ დოკუმენტში მოცემული სკოლაში შესაძლო დასაკავებელი თანამდებობების ჩამონათვალი. ასევე, დაწესებულებამ განსაზღვრა ლოგოპედის ფუნქციები და ჩასწორდა უზუსტობები სკოლის დებულებაში, რის შედეგადაც <u>*ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა სრულ შესაბამისობაში.*</u>

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის დებულების, ,,ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმისა'' და სტრუქტურული იერარქიის გრაფიკული სქემის დოკუმენტის შედარებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ არის სრულყოფილი. შესაბამისად, არასრულყოფილად განსაზღვრული ფუნქციები და მათი არსებული განაწილება ვერ უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის იმგვარად განხორციელებას, რომ ხელი ეწყობოდეს საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვან წარმართვას.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადინა შესწორებული დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ სკოლამ განახორციელა ცვლილებები სტრუქტურასა და დებულებაში. დებულებაში დეტალურად განისაზღვრა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს არსებულ პირებს შორის უფლებამოსილებებს ისეთ დელეგირებას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ხარისხიანად წარმართვას, რის შედეგადაც <u>*ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა სრულ შესაბამისობაში.*</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული იერარქიის გრაფიკული სქემა;
- სკოლის დებულება;
- ,,ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმა'';
- დასაქმებულთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესში დაწესებულება იყენებს შრომის კოდექსს, შინაგანაწესს, სკოლის დებულებას და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტი ითვალისწინებს ისეთ აქტივობას, როგორიცაა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება.

პერსონალის მართვის პროცესში, მნიშვნელოვანია შრომის კოდექსით გარანტირებული შრომის ანაზღაურების მიღების უფლების რეალიზება დასაქმებულთათვის. საგულისხმოა, რომ სკოლას მასწავლებლების მიმართ ჰქონდა დავალიანება გარკვეულ პერიოდში, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წლის 12 ივნისს სკოლის თანამშრომლებმა ერთობლივი განცხადებით დააფიქსირეს, რომ მიუხედავად სკოლაში შექმნილი სირთულეებისა, სრულად არის მოგვარებული სახელფასო ანაზღაურების პრობლემა და სკოლის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილია კეთილგანწყობილი და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომით პირობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, დისციპლინური წარმოების დებულებები, წახალისების მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის შინაგანაწესის ზოგიერთი დებულება, კერძოდ, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლების მარეგულირებელი მუხლი და დეტალურად ასახოს შრომითი დისკრიმინიაციის ამკრძალავი დებულებები შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალით, ვაკანსიების პლატფორმის დათვალიერებით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და სკოლის შინაგანაწესის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციული და პრევენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ, ახალი კადრის საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს კონკურსის წესით მასწავლებლის მიღების გამოცდილება, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს კადრის შერჩევა გასაუბრებით.
გარდა ამისა, თანამშრომლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია რეაგირებს მოქნილად და ხდება შიდა კადრებზე ფუნქციის გადანაწილება. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სამსახურში მიღების წესი, სკოლაში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი. სკოლას დოკუმენტურად არ აქვს დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვა დასაქმებულზე ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასკოლო პროცესებს. რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა შიდა ან სხვა შემცვლელი კადრის დაქირავებით. სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** წერილობით დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები. ასევე, სკოლას მიეცა **<u>რჩევა,</u>** მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისას საკონკურსო კომისია დააკომპლექტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, კომისიაში ჩართოს მოწვეული სპეციალისტი და აღნიშნული რეგულაცია ასახოს შრომის კოდექსში მასწავლებლის შერჩევის მარეგულირებელ დებულებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად.

დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის მიერ მასწავლებლის შერჩევის ოქმი. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს კადრების მოზიდვას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. **სკოლამ ვერ წარმოადგინა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე, შესაბამისად, ვერ შემოწმდა ყველა პირად საქმეში დოკუმენტაციის არსებობა.** მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **სკოლამ ყველა დასაქმებულზე უნდა აწარმოოს პირადი საქმე და დასაქმებულების პირად საქმეში უნდა განათავსოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ნასამართლეობის ცნობები. სულ 16 თანამშრომელს არ ჰქონდა პირადი საქმე.** ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ **თანამშრომლების ნაწილის პირად საქმეში არ არის განთავსებული სავალდებულო ნასამართლეობის ცნობები,** კერძოდ, 16 მასწავლებლის პირად საქმეში (მათ შორისაა 6 მასწავლებელი რომლებზეც პირადი საქმე ვერ წარმოადგინა სკოლამ) არ არის განთავსებული ზოგადი ნასამართლეობის ცნობა, 32 თანამშრომელთა (მათ შორისაა ის 9 თანამშრომელი, რომლის პირადი საქმეც სკოლამ ვერ წარმოადგინა) პირად საქმეში კი ასევე არ არის განთავსებული უფლების ჩამორთმევის და 19-ს თანამშრომელს (მათ შორისაა ის 9 თანამშრომელი, რომლის პირადი საქმეც სკოლამ ვერ წარმოადგინა) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არ არსებობის ცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა თანამშრომელთა ბაზის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ **17 თანამშრომელთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, არ არის განახლებული შრომითი ხელშეკრულებები. გარდა ამისა, 1 მასწავლებელთან, რომელიც სკოლაში დასაქმებულია სტატუსის გარეშე, მოწვეულ მასწავლებლად, დარღვეულია ხელშეკრულების პირობა - საათობრივი დატვირთვა აღემატება კვირაში 9 საათს.** სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობა შეწყდა მუსიკის მასწავლებელთან, რომლის საათებიც გადაუნაწილდა შიდა კადრს, სხვა მუსიკის მასწავლებელს, ვაკანსიის შევსებამდე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა განახლებული შრომითი ხელშეკრულებები და 2024-2025 სასწავლო წლის საათობრივი დატვირთვა, რომლითაც დადგინდა, რომ მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 9 კვირეულ საათს.

შესაბამისობის გეგმით სკოლა იტყობინებოდა, რომ განახლდა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. რაც შეეხება მოწვეული მასწავლებლის საათობრივ დატვირთვას, სკოლამ აღნიშნულიც გამოასწორა, შეიმუშავა 2024-25 სასწავლო წლის საათობრივი დატვირთვის პროექტი, რაც მოქმედებას დაიწყებს ახალი სასწავლო წლიდან და არსებული ხარვეზი აღმოიფხვრება სრულად.

სკოლა შესაბამისობის გეგმით ასევე იტყობინება, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირადი საქმე შეივსო და მათში განთავსადა ყველა სავალდებულო დოკუმენტი, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ ნაწილობრივ წარმოადინა დასაქმებულთა პირადი საქმეები და ნასამართლეობის ცნობები. კერძოდ, დასკვნის პროექტში ასახული, 16 თანამშრომლის პირადი საქმიდან წარმოდგენილია 7 თანამშრომლის პირადი საქმე, ხოლო ნასამართლეობის ცნობების შესწავლით დადგინდა, რომ დასკვნის პროექტში ასახულ 16 მასწავლებლის ნასამართლეობის ცნობიდან წარმოადგენილია 5 ცნობა, 32 დასაქმებულის უფლების ჩამორთმევის ცნობიდან წარმოადგინა 14 ცნობა, ხოლო 19 დასაქმებულის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლების ცნობიდან წარმოადგინა 4 ცნობა. დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 27.06.2024-30.09.2024 პერიოდი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულად აღმოფხვრას ხარვეზები. შესაბამისად <u>ინდიკატორის მოთხოვნები შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად დაკმაყოფილებულად.</u>

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას, რომლის მიხედვითაც სკოლაში ვიზიტის დღეს დასაქმებული იყო 34 თანამშრომელი, მათგან 27 მასწავლებლის პოზიციაზე (უფროსი - 17, მოწვეული - 6 , მასწავლებლობის მაძიებელი - 1). სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული იყო დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი (საქმისწარმოებისა და კადრების მენეჯერი), ექიმი, ლოგოპედი. პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებულია დამლაგებელი და იურისტი. სკოლას მიეცა <u>რჩევა</u> eschool.emis.ge-ს ელექტრონულ ბაზაში ასახოს სკოლაში ფაქტობრივად დასაქმებული ყველა პირის მონაცემები.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლას გაწერილი აქვს თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაკავებელი პოზიციების მიხედვით, ხოლო დასაქმებულების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.

სკოლას ავტორიზაცია მიღებული აქვს 270 მოსწავლეზე. აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლაში დასაქმებულია ექიმი. **ექიმის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ მას აქვს ექიმ-პედიატრის კვალიფიკაცია, თუმცა პირად საქმეში არ იყო განთავსებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადინა სკოლაში დასაქმებული ექიმის დმოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისად <u>ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა სრულ შესაბამისობაში.</u>

5. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, გადაწყვეტილებების მიღება ხდება თანამონაწილეობით. სასკოლო საზოგადოების წევრები გადაწვეტილების მიღების პროცესში იყენებენ გუნდურობის პრინციპებს. აღნიშნულს მოწმობს სკოლის პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის მე-11 მუხლშიც განსაზღვრულია წახალისების ფორმები მასწავლებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისათვის, წარმატებული და კვალიფიციური პედაგოგიური საქმიანობისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, რომლის გამოყენების უფლებაც აქვს დირექტორს. ასევე, სკოლის დებულების 21-ე მუხლის 21.7 პუნქტი ითვალისწინებს, კათედრის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების მექანიზმს.

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების პრაქტიკა. სკოლის მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ ისინი სკოლის ადმინისტრაციის მოწოდებითა და ხელშეწყობით ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს და შეხვედრებს, რომელსაც შემდეგ უზიარებენ კოლეგებს. ასევე, სკოლა იყენებს წახალისების მექანიზმს დღესასწაულებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება;
- კონკურსის მასალები;
- პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა სია eschool.emis.ge-ს ბაზიდან;
- თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა;
- თანამშრომლეთა ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს დავით რიჟამაძის სახელობის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ,,ივერია" ფუნქციონირებს ერთ მისამართზე - თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N20. შენობის იჯარის უფლებით ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 01.19.36.003.077), მესაკუთრეა შპს „დანო“. იჯარის ბოლო ვადაა 01.01.2034. იჯარა რეგისტრირებულია II, III და IV სართულებზე ფართით 966,75 კვ.მ. პირველი სართულიდან სკოლა სარგებლობს მხოლოდ შესასვლელით, რათა მივიდეს კიბის უჯრედთან და ლიფტთან. სკოლა შეფერხების გარეშე იხდის იჯარის გადასახადს და ამ მეიჯარესთან პრობლემები არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შენობაში სულ 13 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი (იმავე სივრცეში, თუმცა განცალკევებით არის ბიბლიოთეკა), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, სველი წერილები, დერეფანში მოწყობილი სივრცე ბუფეტისთვის და სხვა დამხმარე ოთახები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული) წესი რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ლაბორატორიით სარგებლობა თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის. იგივე შეიძლება ითქვას ბიბლიოთეკით სარგებლობაზეც რომელშიც ჩაწერილია რესურსებით სარგებლობის თანასწორუფლებიანობის პირობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, სკოლაში მოქმედებს ლიფტი, ადაპტირებულია სველი წერტილი. სკოლას ვიზიტის პერიოდისთვის არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ყველასთვის ერთნაირად და თანაბრად. სკოლა ხშირად სტუმრობს ცნობილი ადამიანებს, ეწყობა გამოფენა-გაყიდვები და შემოსულ თანხას გადასცემენ რუხის მოხუცთა თავშესაფარს. ყოველივე ეს ემსახურება სკოლის ინფრასტრუქტურის სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის შენობის მეორე სართულზე მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელშიც მრავალფეროვანი წიგნადი ფონდია, მათ შორის მხატრული, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა. მიბლიოთეკაში არის სასკოლო სახელმძღვანელოები ყველა სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა, ჭკვიანი დაფა, პროექტორი. თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად , დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო ჟურნალებში. სკოლას აქვს ელ.კატალოგი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სათანადო ლაბორატორიული აღჭურვილობით. გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტის დარბაზი, სხვადასხვა სახის რუკები და თვალსაჩინოებები, რომელიც კურიკულუმითაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.19.36.003.077);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საკადასტო გეგმა;
- უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სხვადასხა სახის თვალსაცინოება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას სამოქმედო გეგმით, რომელიც თანხებს საჭიროებს, განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. გარდა ამისა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ხარჯი. სკოლის ფინანსური რესურსით (ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილიდან გამომდინარე) სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ფინანსებით უზრუნველყოფა ეჭვქვეშ არ დადგებოდა, რომ არა ერთი გარემოება - 2023 წლის 24 მაისიდან დაყადაღებული სკოლის საბანკო ანაგარიშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ. ყადაღა გამოწვეულია სკოლის ყოფილი შენობის საიჯარო ქირის ვალის გამო ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ. ყადაღის გამო სკოლის ანგარიშებზე შესული ნებისმიერი თანხა, იქნება ეს სახელმწიფოსგან შესული ვაუჩერული დაფინანსება ან/და მშობლების მიერ გადახდილი სწავლების გადასახადი ავტომატურად ირიცხება ტექნიკური უნივერსიტეტის ანგარიშზე. სკოლის ფუნქციონირებას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა, რომ არა ზოგიერთი მშობლის სურვილი - სწავლები საფასური გადაიხადოს ნაღდი ანგარიშსწორებით. ამ მიზნით სკოლას აქვს სალარო აპარატი და ნაღდი ფულის შემომტანს აძლევს შესაბამის ჩეკს. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ნაღდი ფულის სკოლის სალაროში შემოსვლის აღრიცხვის დამადასტურებლად წარმოადგინა ერთი დღის განმავლობაში შემოსული თანხის შესაბამისი ჩეკები და დღის საერთო ჩეკი. შემოსავლების ამ მეთოდმა სკოლას საშუალება მისცა გაესტუმრებინა პერსონალის დაგროვებული ხელფასები. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ნდობა აქვთ სკოლის მიმართ და ფიქრობენ, რომ შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ სკოლა აუცილებლად გადაიხდის მათ ხელფასებს. ამის შესახებ მათ ვიზიტის დროს განცხადება დაწერეს სკოლის დირექტორის სახელზე და აცხადებდნენ, რომ მართალია ხელფასების დავალიანება ჰქონდა სკოლას, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარებულიაო და აღნიშნავდნენ კეთილგანწყობილ გარემოს არსებობაზე, რომელსაც სკოლა ქმნის თანამშრომლებისთვის.

აღწერილი პრაქტიკის - სწავლების გადასახადის ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის მეთოდის მომავალშიც არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სკოლის ფინანსური რესურსით სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი და მისი დამტკიცების ბრძანება N12/1, 25.12.2023წ. ბიუჯეტის განკარგვას, დირექტორის განმარტებით, ახორციელებს პირი, რომელიც სკოლისგან ნდობით სარგებლობს, თუმცა რა წესით და როგორ ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას განსაზღვრული არ აქვს დოკუმენტით/რაიმე დადგენილი წესით, ისევე როგორც ბიუჯეტის მონიტორინგის ან ანგარიშგების სისტემა.

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლამ შეიმუშავა ფინანსური მართვის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის შედგენის წესს, ბიუჯეტის ფორმას, ცვლილებების განხილვასა და სხვა საკითხებს. სკოლას აღნიშნული აქვს, რომ ამ დრომდე სკოლა რა თქმა უნდა ახორციელებდა აღნიშნულ საკითხებს, თუმცა მექანიზმები არ იყო წერილობით გაწერილი, რაც აღმოიფხვრა. გეგმასთან ერთად წარმოდგენილია ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმები. შესაბამისად დაფიქსირებული</u> **<u>ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი და მისი დამტკიცების ბრძანება;
- მასწავლებელთა კოლექტიური განცხადება, რომ სახელფასო დავალება აღმოფხვრილია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფისკალური ანგარიში (ჩეკები).
- ცენტრში შემოსული 2024 წლის 28 მარტს №364468 წერილით გამოგზავნილ კორესპონდენცია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……
……
……
……

15.07.2024.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: